

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან და ასისტენტებისგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასოცირებული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
5. ასისტენტ-პროფესორი – არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობებში.
6. ასისტენტი - არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით აქტივობებს, შესაბამისი პროფესორის მიერ განსაზღვრულ სასწავლო კურსის/პროცესის ფარგლებში.

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსების ობიექტურად, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებით ჩატარებას უზრუნველყოფს დროებითი კოლეგიური ორგანო - საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისია განიხილავს და აფასებს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას კანდიდატების აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, ასევე ატარებს გასაუბრებას შერჩეულ კანდიდატებთან.

3. საკონკურსო კომისიის წევრი არის უნივერსიტეტის თანამშრომელი ან მოწვეული პირი.
4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის აქტით.
5. საკონკურსო კომისია კონკურსს ატარებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ აქტისა და დადგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად.
6. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის სხდომაზე და ფორმდება სხდომის ოქმის ფორმით.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობები

1. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
2. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი;
4. პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება ასევე აირჩეს პირი, რომელსაც აქვს პროფესიული ნიშნით შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც შეიძლება დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა საბუთების მიღების ვადა განისაზღვრება საკონკურსო განაცხადით. კონკურსის შედეგები ცხადდება საკონკურსო განაცხადში მითითებულ ვადაში.
4. საზოგადოებისთვის კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით.
5. კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის. კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტი განცხადების სახით უნდა გამოიკრას სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე, განთავსდეს ვებ-გვერდზე. შესაძლებელია კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება ბეჭდურ ორგანოში.

6. გამოქვეყნებული განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატების საკონკურსო განაცხადების წარმოდგენის ვადის, კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების თარიღების შესახებ, ასევე კონკურსის პირობებისა და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს.

მუხლი 6. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 7. კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტი;
2. საკონკურსო კომისიის წევრებისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის სამუშაო გარემოს;
3. საკონკურსო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკონკურსო კომისიის მდივანი

მუხლი 8. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა (კონკურსანტთა) რეგისტრაციის წესი

1. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებებს იღებს და რეგისტრაციაში ატარებს რექტორის მისაღები/სამდივნო საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში.
2. თითოეულ საკონკურსო ადგილზე რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება უნივერსიტეტში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 9. კონკურსის ჩატარება, კონკურსანტის შერჩევა და შედეგების შეჯამება

1. კონკურსი ტარდება და კონკურსანტების შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესის, საკონკურსო განაცხადებაში მითითებული პირობების შესაბამისად საკონკურსო კომისიის მიერ, ერთ ან რამდენიმე ეტაპად;
2. კონკურსის შედეგები გამოცხადდება საკონკურსო განაცხადში მითითებულ ვადაში;
3. საკონკურსო კომისია ახორციელებს თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემების ანალიზს და აჯამებს შედეგებს საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4. საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან და შესაბამისი სპეციალობის

საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან), კონკურსანტთა სხვა აქტივობების, მიღწევებისა და დამსახურების გათვალისწინებით.

მუხლი 10. კონკურსანტის შეფასების ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები

1. კონკურსანტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) აკადემიური ხარისხი

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 ან მეტი წლის გამოცდილება პროფესორის აკადემიური თანამდებობის შემთხვევაში, არა ნაკლებ 3 წლის ან მეტი გამოცდილება ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის შემთხვევაში.

2. კონკურსანტის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები დგინდება შესაბამისი საკონკურსო განაცხადით. დამატებით კრიტერიუმების დადგენისას ყურადღება ექცევა კონკურსანტის შემდეგ მახასიათებლებს:

ა) სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები, რომლებიც ფასდება შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით;

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობა;

გ) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;

დ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;

ე) სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები ;

ვ) სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა;

ზ) დასრულებული კვლევითი პროექტები;

თ) რედაქტორობა;

ი) გამოცემული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები;

კ) კვალიფიკაციის ამაღლება;

ლ) უცხოური ენის ცოდნა;

მუხლი 11. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) აპლიკაცია - CV;

დ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხოეთში მიღებული კვალიფიკაცია აღიარებული უნდა იყოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;

ე) პედაგოგიური/სამეცნიერო/პროფესიული საქმიანობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ) არსებობის შემთხვევაში - დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის გამოქვეყნებული შრომების ნუსხა, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები გამოცემული სახით ან ასლები, დაცული დისერტაციის ხელმძღვანელობის დასადასტურებად - ჩანაწერი ავტორეფერატის სატიტულო ფურცელზე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში -

თვით ნაშრომის სატიტულო ფურცელზე (ორიგინალის სახით) ან სადისერტაციო საბჭოს/დეკანის მიერ დამოწმებული ამონაწერი შესაბამისი ოქმიდან, სარედაქციო საქმიანობის დამადასტურებლად - შესაბამისი ჟურნალის რომელიმე ნომერი, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელ - შრომის წიგნაკის ჩანაწერები ან ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია რაც კონკურსანტს მისცემს საშუალებას დამატებითი კრიტერიუმებით შეფასდეს;

მუხლი 12. საჩივრებისა და პრეტენზიების მიღება

1. კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოში.

მუხლი 13. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

1. სასწავლო უნივერსიტეტი კონკურსის შედეგებს აქვეყნებს საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განცხადებაში მითითებული ვადების შესაბამისად.
2. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
3. კონკურსის დასრულების შემდეგ კონკურსში მონაწილე პირს (მოთხოვნის შემთხვევაში) შეიძლება დაუბრუნდეს წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, ამ შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტში რჩება კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული დედანის ასლი.